

3-2

ცისკარი.

1 8 6 7.

ბოლონ დელი—ნომერი.

წელიწადი მეთერთმეტე.

წოდება თხზულებათა:



- 1, — რედაქციისაგან განცხადება.
- 2, — ზოდღერება. გაბრიელ ეპისკოპოსისა.
- 3, — ელეგია. — თ. გიორგი ორბელიანისა.
- 4, — კლმასობა.
- 5, — გიორგი მეთცამეტე — ლეონიდ ბარათაშვილისა.
- 6, — სოფლის მებატონე (ლეკსი) თ. დავით მიქელაძისა.
- 7, — კომედია, პუბლიცისტი აფრიკანელისა. —
- 8, — 1868 წლის ზელის მომწერთა სია.

ტ ფ ი ლ ი ს ს.

კერეს. ელიძის სტამბაში.

23-
შემოსულები 1948

რედაქციის სავან.

ცისკრის მკითხველებმა ნახეს, როგორც შეიგვიანა ჟურნალმა და არ გამოდიოდა თავ-თავის დროზედ; დარწმუნებულნი უნდა ბძანდებოდნენ მკითხველნი, რომ უმჯობესია აქ ერთი რამ მიხეზი უნდა ყოფილიყო. ამ წელიწადს ორჯელ ისეთი შემთხვევა მოხდა ჩუტნის რედაქციაში, რომ უთუოთ უნდა შეგვიანებულიყო გამოცემა თავის დროზედ; ამ ორის შემთხვევის მიხეზითვე ველარც ვილდელმტელის დრამის ბოლო დაებეჭდეთ და ამის ნაცვლად კალმასობის ბეჭედას შეუდევით, ახ ა ისეთი მოკლე დრო გვიძეეს წინ, რომ დანაზრჩენი სამი ნომრის გამოცემა მეტად გასაჭირია, — ამისათვის იშედი გვაქუს, მკითხველნი, მიხედავენ რა ჩუტნის რედაქციის თერთმეტის წლის დეაწლს, ამ სამს ნომერს ამ წელიწადს აღარ მოგვთხოვენ, — ახლა ჩუტნი მეკადინეობა ის არის, დღეითგან თავ-თავის დროზე ჟურნალი გამოეცეთ და იანერის პირველ რიცხვებში, იანერის თვის ნომერი გამოვიდეს, — შემდგომში ყოელის თვისა გამოვა თავ-თავის ვადაზედ. ახლა ამას ვითხოვთ, ვისაცა სურდეს მომავალის 1868 წლის ცისკრების მიღება, ან გუანის დედისა, გეაცნობონ დროზედ და თან წარმოადგინონ ხველრი ფასი

მოდერნები

მართლმადიდებლობის კვირიაკესა ზედა.

თქმული ქუთაისს, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ.

მართლმადიდებელნი ძმანი ქრისტიანნი

თუკა წესი ესე მართლმადიდებლობისა ძველი დროებიდან არის მოღებული ეკლესიასა შინა და ყოველთენ იყო საჭირო და სასარგებლო, გარნა უმეტესად აწ ამ ჩვენ დროებაში. რისთვის? მასთვის, რომელ ახლა ერთი ფრიად საშწუხარო ყოველთა ქრისტეს მოსაუთათის გარემოება გამოჩნდა და ძლიერდება ყოველთა ქვეყნებთა შინა, რომელიცა ერთობ საჭიროდ ჰყოფს აღსრულებასა წესისა ამისასა. რომელი არს ეს გარემოება? ის, რომელ განმრავლდნენ კაცნი წინააღმდეგნი სამღრთოებასა სჯულისანი, რომელნი კადნიერად ბედვენ ცილობასა, და არა თუ ცილობასა, არამედ თითქმის, უარის ყოფასა უმთავრესთა მუხლთა ღუთისაგან მოღებულისა სჯულისათა. ვერეთსა გარემოებასა შინა ერთობ

მე ეს აზრი და ვერ გაგაგებინე, როგორც მსურდა, მაგრამ მენ თვითონ დამეშავე შენ გულში ძმაო ეს აზრი და გააერცვლე. თუ კრავთ ვერ ახსნი, ჩემთან მოდი თავისუფალ დროს და მე კიდევ აღგიხსნი. აქაც მიუბრუნდები მე მარჯვენა დროს, ამ აზრს. თუ როდისმე შეგებედეს ურწმუნო კაცთან ლაპარაკი ამ აზრით, თუ კარგათ გაიგე იგი, შეგძლია პირი დაუყო მას თუარა ჩემთან მოიყვანე; უთხარი, ეს მისი საქმე არის თქო. ვესაე მაცხოვარსა, რომელი არის მდიდარი სიტყვითა და სწავლითა, რომელი იგი მომცემს მე სიტყვასა შესაგონებელად ყოველისა განდრევილისა კაცისათვის.

გარნა აქ უნდა გავიმჯღაუნდე და გითხრა ძმაო, რომ ერთი საქმის კი მეშინია; შეშინია, რამ ეს ჩვენი მოპირდაპირე კაცი მობრუნდეს და ესრეთ სიტყვა გვითხრას: კარსგი! თუ მართლა სამღრთო სჯულთა და სარწმუნოება არი საფუძველი და განმადვიებელი წინასწარ ზნეობის, რათ ეხედავ მე შენ შორის, შენ რომ მაწუქუნე კაცო ხარ, ცუდსა ზნეობასა და ყოფაქცევის სწორეთ მეშინია რომ ამ სიტყვით არ გაგამტყუნოს, ჩვენ, მორწუნენო, ურწმუნო მან კაცმან! თუ კაცი ამბობს მორწუქუნე ვარ და საქმითი სცოდავს, არ ერიდება ცოდვას, იგი სიტყვითაც ველარ გამტყუნებს ურწმუნო კაცსა; ამისთვის გლოცავ თქუტუნ, ძმანო, და გაფუცებ თეთ ცხოვრებისა თქვენისაგან აჩვენოთ ურწმუნოთა კაცთა, რა საუნჯე არის ცხოველისა სარწმუნოება კაცისათვის. ღმერთო მაცხოვარო ჩვენო შეგვეწიერათა თვით ცხოვრება ჩვენ მორწმუნეთა მენტა გაიტყუნებდეს და მერცხვენდეს ურწმუნოთა კაცთა

ეუძღენი თ-თ აღ. და სოლ. ლეონ: ქეთ.

ანათებს მუჟარე,

ღრუბელი გარე

ვერცხლისა ფერად წერილად მოსხმიან;

ამაყნი მთანი,

შავათა მდგარნი,

ლაქვარდს სიერცეში იღუპებიან.

რიონი ჩქარი,

მუქით მღიმარი,

ზეირთის თამაშით რბის და ღრიალებს;

და თვისის ხმითა,

მიუწყვეტლითა.

არყევს სიჩუმეს, აფხიზლებს ქალებს.

იმერი არი

ტკბილად მძინარი,

ხმა ქართველისა არ სიღამ ისმის,

მხოლოდ დროითა,

ძილში... *ახეიოს*

მღოსმის.....

მღოსმის მღოსმის მღოსმის
თ. გიორგი ორბელიანი.

1863 წ. ქუთაისს.

კალმასობა.

თხზ. იოანე ბატონიშვილისა.

1781
ნაწილი მეორე.

ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1867.

11

печатать позволяется.

Г. Гродно 4 сентября, 1867.

კალმასიოპი.

ხოლო, ხელისა დღე იოანე იახლა არქიელს, გამოესალმა, და კმაყოფილი წარვიდა ყუარელისაკენ. რა ყუარე საშინა მიედა, ელევთერმან სცნო მისი მუნ მისვლა, მკის კაცა გაგზავნა, და თვსთან მიაყუანინა, რა იოანემ იხალა ელევთერ, არაყო რომ არ შემინდა და სთქვა გულსა შინა თვსა: ეამ თუ ამანაც გამლახოს, და მსწრაფლ მივიდა, უყო ჭეტანია და სთხოვა კელი, ელევთერმან მსწრაფლ აღადგინა, და უთხრა: ნუ გემინიან, მე არას გერჩი, გარნა გკითხავ მიზეზთა ყვედრებისათჳს; უბძანა იოანეს დაჯდომა. დაჯდა იოანე, მოიკითხა ელევთერმან, და მიმოხელის მიზეზაც ჰკითხა, იოანემ ჰყოველივე აღწომა; და მერე უთხრა ელევთერმან. შენ და ეწყააბაჲი რათ დამდურღითო?

იოანე. ჭეშმარიტებისათჳს!

ელევთერმან. ვითარ?

იოანე. აი, ეს საბრალო ზურაბ, ერთას წისქვილის მკონებელი უსამართლოდ ისჯება და ერთმევა, რომელმაც თავისი ცოლშვილი უნდა გამოზარდოს; მღაფანს სულხანს აქუ!

მეფეთაგან ჯამაგირი, სამღიენო ათასის თავი, სოფელი, და ამ საბრალოს ასე ეუსამართლოება. და ამისთვის ვაწყენინე ალექსანდრეს, რომ მღაენის მხარე ეჭირა, და რაც მკითხა ის განუმარტე და ამისთვის გამიწყრა.

ელევეთერმან. ასე იქნება, მოხელეების საქმე ზოგი ერთს კერძოდ იქნება და ზოგი მეორეს კერძოდ. და ჯერ ხომ არ გარდაწყვეტილა საქმე.

ელევეთერმან. მართალია ეგე, მაგრამ თუ მოხელე თავის სულს გარდუღებდა, შემძლებელი ყოველთვის განმართლდება თუ გინდ ტყუოდეს, და ამამი თავის მებატონესაც დაუძამებს და უსამართლოობაში შეაყენოს, თორემ მე კა პატავის მცემელივარ ჩემ კერძოდ, ეყაბამისა. ელევთერმან. ჩემი ისე იმ სახით შემოსელა ეკლესიაში, რად იუცხოე, და ან რად აპირებდი ქადაგებაში ჩემს მეთრაცხებას. და ან კნენას რად ამხილე თავ დაუბურ ველობა?

იოანე. რადგან მონაზონების სახე გმოსიათ, მეუცხოვა თქუტსნი იმ სახით შემოსელა ეკლესიაშია შინა, რომელ შეფეთათვისცა მაღალი საქმე იყო, კნენასიც თავმიმელობა და მარაოს ქუევა ეკლესიაში. პირველი ნახვა იყო, რომ ქართველთ დედანი დიაკრძალუღნი არიან ლოცვა წირვაზედ, რომ ჩადრით იბურვენ სახეთა და არავის აჩუტნებენ პირთა და სულ მეტანიით და ვულში ცემით დაასრულებენ თვისს ლოცვასა, და ამასთვის ეკადნიერე, რომე სხვანიც არ შეუღდნენ იმ კუალსა და არ განუგრილღეთ გული ლოცვა წირვისათვის: თქუტსნ მერწმუნეთ, რომ მე მინდოდა,

ჩუქან ჯვარზედა სიტყვის თქმა, და შეედრება ხალხისა, და თქუენ დაგებაზოლეთ და თვისად მოღეთ აზრი მხილებისა რისამე. და ეგეც კარგი სვინიდისია თუ გამხალბდათ ჩასმე-

ელეეთერმან. ახლი მჯერა, და მუ ყეტყუა ჩემს ასე ქცევი^ს მიზნისა, თუ ასე არ მოუქეც, რადგან მეფესთან მიჩნეულ^ს ვარ და ხალხში წილი მიძეს სახელოსი, ზედ არავინ მემომხედაკს ამისთვის, რაჲ საზოგადოდ ახელთხედ არს თქმულა რომელ, თუელჲ აქეთ ქუთ და ანა თავიიან.

იოანე. და მართალაა მაგრამ მეორე რაჲ განყოფილება მანც უნდა ჰქონდეს ბერსა და ენა ყოფქცევაში.

ელეეთერმან. მე ჯერ არც ჩუხა მაქუხ ნაკურთხიო: მაშინ ზურაბამ. ბატონო, კუნუელი ხომ გხურამთ, სხვა რაგინდაო. და გაეცინათ ყოველთა და ამ უბნობაში შეიქმნა მიწის ძერა ისეთი, რომ სრულებით შეიძინა სახლი, კედლებით და ქერიოთურთ. და მსწრაფლ გამოვიდნენ გარე, და იწყეს ვედრებად ღებისა. რა დამეუღროვდა, მოიღეს სადილი და დასხდნენ. მაშინ ელეთერმან უთხრა იოანეს: უნდა გვითხონ რამე რადგან მეცნიერი ხარ.

იოანემ. მიბძანეთ.

ელეთერმან. რაჲსაგამო და ანუ რისაგან იმხობების მიწის ძერაჲ?

იოანე. მიწის ძერა იქნებას, მსწრაფლისა აღზნებისაგამო გოგირდასა და სხუთა აღმგზნებულთა ნივთებისგან, მყოფთა ხერელთა შინა ქვემე მიწისათა, რომელთა უფრო ხშირადრე აწარმოებს ძერასა სამხრეთის კერძოდ, ვინაჲდგან მუნებურ-

თა ადგალთა შინა უფროსე მრავალ არიან ესე გვარნი უკ-
ტუპ ნიეთებნი.

ხოლო რომელნიმე ბუნებას გამომძებლენი ჰადებენ
უკუტ ჰაერსა და წყლისა მიზუნად მარსა ძკრასად, და ესე-
ცა შესაძლებელ არს. ხოლო უკეთეს გსურისთ უმეტეს შემ-
ემკნება ამისი, სათანადო არს, რათა წარმოიდგინოთ თვა
შორის ზემო პირი კუტყანისა, რაგჭარადც კერკი ხისა იმ-
სახედ თხელად, რაძლოსა კუტყე არიან ურაცხეად დახრა-
მულნი და განკუთლნი ადგალნი რუქსა სახედ, და ესენი სა-
ესენი წყლითა ანუ ჰაერთა მდგომარენი, და ოდეს ესე
ორნი უკუტ ნიეთნი აღვზნებისაგამო ნეთთსა განტყუბიან,
მაშინ მიისრწრფიან იგინი ცარიელთა მათ ადგილთადმა დი-
დითარე ძალითა მცაებელნი განსაეალთა ადგილთა და
შესძტრენ უზომოდ ზემო პირსა მას თხელსა მარსა ანუ
კუტყანისასა.

ელეეთერმან. რომელსა ქვეყანასა უფრორე არიან ცეცხლ მფ-
მუტყელნი მთანი და ადგილნი სქელთა კომლოთა აღმომ-
სელელნი:

იოანე. თუმცა მრავალ ადგილსა არიან ეს გვარნი ადგილნი
ცეცხლ მფმუტყელნი, გარნა ესენი უფრორე ირიცხებან
უჩინებულესად. ვითარცა მთა ეტნაი სიცალიასა შინა, ვეზუფისა
მთა ნიაპოლის საკაროლოსა შინა, მახლობელ იტალიისა,
და სეკლამ ისლანდაასა შინა. ესე ცეცხლ მფმუტყელნი უკ-
უტ მთანი, კვალად იწოდებიან სახელით: ეულკანებად:

აგრეთვე, ჩუტნის ქვეყანას ნაწილსა შინა ბაკას არს ცეცხ-

ლიერი მინდორი, სადაცა ცხოვრებენ მილთონნი, ოდეს მო-
სთხრიან მიწათა, აღმოვალს მუნით ცეცხლის ალი, და მოხა-
რმვენ მასზედა სკმელთა, რომელიც თქუძნც კარგათ უწყ-
ით.

რა სადილისი გან აღდგენ, იოანე გამოეთხოვა ელევთერს, ელე-
ვთერმან კმაყოფილ ჰყო იოანე და მშვიდობით გაიყარ-
ნენ.

იოანე წარვიდა ციხესაჲს, და თან გაჰყუა ალავერდის
საღთ ხუცესი. რა ციხეთან მივიდა იოანე, იხილა მეორე
სხვა გალაკანი შემორტყმული, და გალაკანს გარე არხი.
იოანეს ღია მოეწონა ეს სიმაგრე და ჰკითხა საღთხუცესს: ეს
სიმაგრე ვინ გგვიკეთათო. მან უთხრა. იოანე ბატონის
შვილმან, რომ მეფე ირაკლის აქ უბძანა ყოფნათ, ოდეს
თაშარხან მოვიდოდა ოცდა ხუთი ათასის კაცით ამ ყუარე-
ლზედ, მშინ ეს სიმაგრე გავვიკეთა ბატონისშვილმან, მიგ-
ნით გალაკანში. დედაკაცი და ყმაწვილნი, დააყენა, და ბუ-
რჯებში თოფიანი, და მეთოფენი, და თეითონ ჩვენ აქ
ვიდგეთ, და ესრე მაგრად ვიყავით, რომ მოვიდნენ მტრის
ჯარნი გორას ვერა გასცილდნენ, და ორჯელ აქედან
გვესწრო ჩვენს გაჰირების დღეს, და ღმერთს გარდა იმან
დაგვიხსა იმ მტერთ ტყვეობისაგან. და ახლა ქიზიყს ბძან-
დება კიდევ ომარხანის ჰირაბირ.

იოანემ ღმერთმან აუკრთხოს, ღია კარგად ცდილა. და კა-
რგი სამკვიდრო თქენტვს სიმაგრე გაუკეთებია; ესე თქვა,
გამინჯა ციხე და განემართა ფაშანისაჲს დაერთ ჯიმმერის

...: რა მტრე ირა, სიღმოს დრო იყო, თუქმის
ბინდმან მოაწივა. იოანემ უთხრა ზურაბს: დე თ ჯრმე-
რის მერლთან რომ მივიდეთ ასე უთხრათ: ღუთის სტუ-
მარი შეგვიწყნარეთ და სახლი გვიბოძეთო, იოანემ უღუ-
თო კაცს ანზობენ და უწყალოს, ვაი თუ არ დაგვაყენოს.
ზურაბმც მოუწონა:

რა მივიდნენ ღუთის სახლის აქლო, გარდახდენ ცხენი-
დამ, დილ ციოდა, მივიდნენ და თანჯრიდამ შესძხეს: მდი-
ენბეგო, დღეგრძელდა, ერთი სტუმარი შეგვიწყნარეთ;
სახლი გვიბოძეთ.. სიცივემ დია ძლა გვიყო; დავითმან ფა-
ნჯრიდამ გამოჰძახა: მე თქვენი დლოცვა არ მინდა, მე
დილ დღეგრძელი ვარ, სამოცდა ხუთის წლისა ვარ, და
აჰა იანგარიშეთ რამდენის დღისა ექნები; და სახლსკი მოგ-
ცემთ. მამინ თაგის მსახურს უბძნა ჩუმაღ: წაიყვანე, და ამ
სოფლის ბოლოს დაქცეული საყდარი რომ არის, იქ მიიყვა-
ნე და ასე უთხარი,--რადგან ღუთის სტუმარი ხართ, აჰა ღუ-
თის სახლი, და შენ კი წამოდიო. მან მსახურმან ესენი წა-
რიყვანა, და ცგონა იოანეს კარგათ იბრლს სადგომს მიმიყ-
უანსო, და უკანასკნელ იმ ხარაბა საყდარში მიიყუანა და
უთხრა იოანეს: მდიენბეგმან გიბძანათ, რადგან ღუთის
სტუმარი ხართ, აჰა ღუთის სახლიო. რა იოანემ ესე ხარაბა
საყდარი იხილა დია შეწუხდა, და ეს თქვა: უი იმ უწყალომ
რაგვიყო ესე. რომ მსახური გამობრუნდა, დაუძახა იოანემ,
დიენბეგს ასე მოახსენე, ოხერს საყდარს ეშმაკი უნდა
ეპატრონებოდეს, და თქუტს უფრო გფერობდათ აქ დგომო;

— ყულუხჩი და ყოველივე მოახსენა დაეითს. მდივანბე-
გმან ბეერი იცინა, და გაგზავნა მაშინვე კაცი, სახლი მიაცე-
მინა და ვახშმალ თვსთან დაიბარა იოანე, ვახშმის დროს
წარვიდა იოანე და შევიდა მდივანბეგთან, მოახსენა იოანემ:
შშვიდობა თქუენდა ბრწყინვალეო თაეადო. მდივანბეგმან.
დასულისაცა შენისათანა უფალო ტირაცუო: იოანე. უი, ჩემს
თავს. სომეხი ხომ არა ვარ.

მდივანბეგმან. მაგ ზურაბის ამხანაგი რომ ხარ, მაშ სომე-
ხი არ იქნები.

იოანე. ესეცა ახლა ჩუენი საჩუმუნბებისა არის.

მდივანბეგმან. თუენი მასპინძელი როგორ დავხვდათ.

იოანე. რომელს ბძანებთ.

დაეითმა. რადგან ღუთის სტუმარი იყავით.

იოანე. ყოველივე იმის მოწყალეობა არს, ასე რომ იმან
მოაქცია ჩუენზედა თუენი გული, და თუენგან მივიღებთ
კმაყოფილებას. დაეითმან. შემინდეთ, გამოკუადე, რადგან ბე-
რობა მივიღია როგორი მოთმინება გქენებოდათ, და ახლა
ევხვადე კარგი მონოზონი იქმნები; და ბძანა ვახშმის მოღე-
ბა, მოიღეს ვახშამი, ამჟამად ერთი დედელი შენოცადა. უთ-
ხრა მდივანბეგმან დაჯდომა, გააცნო იოანეს, და უთხრა: ესე
ჩემი მოძღვარ ყოფილი არს, იოანე მიენბორა, მოიყრთხეს
ერთმანერთი, და მერთ იოანემ ჰკითხა მდივანბეგს: თუ თქ-
უენი მოძღუარი იყო უწინ, ახლა რად გამოგიცვლიათ.
დაეითმან. მე აღსარებაში უთხარ, ერთი ცოდვე ამან მითხრა შუა
ჯოჯოხეთშია გამ ცოდვის პატრონიო. მე ესთხოვე საკანონო

ადეით, ეგების განეთავისუფლდეთ, და შორს დამიქირა. მერეთ უთხარ, მოდი ერთს კიდევ ვიქმ იმ ცოდვასა, ეგება ნაპირზედ გამომაგდოსო. და ამაზედ გამიწყრა და არღა მათქმეინა აღსარება.

იოანე. დიად რიგიან უქნია, რადგან თქუენ გარე ხართ ჯოჯ უხეთითგან. და ამასაც ავად უქნია, რომსასოწარკვეთილებში მიუციხართ. ახლა ეინა გყავთ მოძღუარი?

დავითმა. ეფთვიმე წინამძღუარი.

იოანე. ის უფრო შორს დაგიჭერს მაგ გუარს ცოდვებს და ეგონებ მალე გაუშოთ ერთმანერთი.

დავითმა. არა, როდის ვეტყვი. მე ჩემს თავს დია მართალ კაცად ვაჩუენებ რომ ბატონისა კარგი ყმა არს და ჩემსას კარგს მოხსენებას დაუჯერებენ, რადგან ჩემი მოძღუარია.

იოანე. უი, ჩემ თავს! და ეგ რა აღსარება არს, ეს არა ჰსჯობს, რომ სულ ყოველთვის კარგად იქცეოდეთ, და არ ვერაგობდეთ, და არც იმ საბრალო ბერს ატყუებდეთ.

დავითმა. ხანდისხან საღიანბეგოს წილსაც დაუღებ ხოლმე. და ამითაც ავიღებ შენდობას.

იოანე. სწორე სამართლისას, თუ მრუდისას?

დავითმა. ქართლში სად არის ჰსწორე სამართალი, როგორც იყოს უნდა გაეაჩანალოთ საქმე.

იოანე. და რადგან ამ გვარი მოსამართლოებაც დაგიწყვი-
ათ, და იმ ცოდვებაც მძანდებით, რაღა იმედით ახვალთ
სასუფეველში?

დავითმა. ბერო, მე ცხონება და წაწყმენდა არა მწამს.
იოანე. მამ პირუტყვი ყოფილხარო.

დავითმა. პირუტყვეთადაც მაქტს ზიარება.

იოანე. სხუასთან ეილასთან, ისიც ბძანეთ.

დავითმან. ანგელოზთან და ორგილთანაც.

იოანე. კარგი. ანგელოზნი ხომ სულნი არიან უკუდავ-
ნი და სიტყვიერნი.

დავითმან. დიად, და აჰა მითხარ, ვითარის სახით ვართ
მასთან ზიარნი?

იოანე. ანგელოზთან სულის უკუდავებით და სიტყვიერე-
ბით და გონებით ვართ ზიარნი. პირუტყვეთან, ბმეინფიერო
ბით, ხორციით, სმით, ჭამით, ძილით, და სხვებ. ორგილთა
მოზარდობით ზიარნი, რომელ ხეც იხრდება, და ბალახიცა
და თუ გინდა საღმრთო წერილთაგანაც დაგიმტკიცებ.

დავითმან. მე შენი ქადაგებით არ მოვიქცევი, მე მეტო-
ლოლია მისწავლია, და მე გამოგადი თუ კარგად განმიმარ
ტავ, მერე სხვა მოძღვრებასაც შემოგიდგები.

იოანე. მიბძანეთ. რა დავითს ენება კითხვა მეტოლოლია
ზედ, ამ ჟამად, ერთი იასაული მემოვიდა, დიენბევს სალა
მი მიართო, და ერთი წიგნიც. დავითმან მოიკითხა ის ი
საული, წიგნი გახსნა და წაიკითხა, რომ გარსევან ემკა
ლაში ჰსწერდა ბატონის ბძანებას, რომ ქალაქს უნდა ორნი
წასულიყუნენ საჩქაროდ და ესეც მოეწერა, ხვალე ვ
ლის ციხეს მოვალ სადილად და თქუტსიც იქ დამხედით
დავითმან უთხრა იოანეს, თუ ხვალე ჩემთან წამოხვალ. გზ

მედ ვიუზნოთო. ამაღამ კი უნდა მოვემზადო საქალაქოდ. იოანეს და იამა, და აღუთქვა თან ხლება, ვახშამი აღი-
ლეს, და სახვლოოდ მზადება იწყეს, იოანეც მოვიდა თა-
ვის სადგურს, მცარე განისვენა, და ესეც განემზადა წასა-
სვლელად.

ხოლო ხვალსა დღე იოანე მივიდა მღვიანზეგთან, მოკ-
ითხეს ერთმანერთი, მღვიანზეგმან აჩუქა იოანეს რაოდენიმე
ოქრო, და ამხედრდენ ცხენს და წარვიდნენ ველოს ცახსაკ-
ენ. ამ მიმავლობასა შინა უთხრა დავითმან: აწ ვიუზნოთ მე-
ტოლოლიისათვის და გზა უბნობით შევამოკლოთ. იოანემ-
მიბძანეთ. მაშინ

დავიამა. რაჲ არს შეტოლოლია?

იოანე. შეტოლოლია (მითოლოლია) არს ხელოვნება, ანუ
აღმოჩინება ზღაპარ სიტყვაობათ, ღმერთთათვის და სარწმუნ-
ობათა ძეგლთა ბერძენთ და რომაელთასა.

დავითმან. რაოდენად ანუ ვითარად განიყოფებიან ძეგლნი
უკუპ ღმერთნი?

იოანე. ღმერთებად, ნახევარ ღმერთებად, ანუ გმირებად,
და ეგრეთვე ალლეგორიის მღუთაებად.

დავით. ვინ უფრო უძველეს არს ამ ღმერთებთა შორის?

იოანე. დროა, რომელსაც ბერძენნი რაცხდენ სახელით
ხრონოდასათა. ხოლო რომაელნი სახელით სატურნისათ.

დავით. ვითარ სახესა მიაწერდენ მას, ანუ ვითარ გამო-
ხატვიდენ? იოანე. მჰაგავსად მოხუცასად მოქმუბვილსა, რომ-
ელსაც უპყრის ერთის ხელით ცელი, მეორეთი საქამო,

(საათი) და აგრეთვე გარემოს შასა რომლით არს მოცულ, იხილებების დარღუტულება და ხრწნილება. ხოლო ოდესმე წარმოადგენენცა მას ფრინაეად ფრთებით და მქნეველად საშინელის ცელისა.

დაეით. რაჲ განიზრახეს მისთვის მოლქესით?

იოანე. ესე, რომელ ვითომც იგი სკამდა შეილთათვისთა.

დაეით. რასა ნიშნავს ზღაპარი ესე?

იოანე. ნიშნავს, რომელ, დროჲ ყოველსავე აღსოცს, და ყოველსავე დარღუტულ ჰყუფს.

დაეით. რადგან სატურნი ესე შეილთათვისთა იყო მკამელ, არაინ დაშთა მას მეუჭმელ მვილთაგან თვისთა?

იოანე. დამთნენ, იუპიტერ, ნებტუნ, პლუტონ, იუნონა და ცერერა.

დაეით. ეინ განარინა იგინი ხელთაგან მასთა?

იოანე. რეიამ, კოლმა სატურნისამან.

დაეით. ვითარის სახით?

იოანე. სახითა მით, რომელ ჟამსა ყრმისა შობისასა განახვია ქუჲა მსგავსივე ყრმისა ტილოსა შინა და მისცა ქმარსა თვისსა შთასანთქმევეად ნაცელად ახლად შობილის ყრმისა, იუპიტერ, დამალა კუნძელსა შინა კრიტიისასა.

დაეით. რაჲ შემთხუტვა იწარმოა მერეთ?

იოანე. იუპიტერ, რა აღიზარდა და მოვიდა ჰსაკსა შინა, შთამოვიდნენ ზეცით მამაჲ თვი, და მერეთ განუყო მმათა თვისთა მსოულოი სამეფო.

დავით. სიდან განიელტო სატურნა?

იოანე. იტალიასა შინა, მეფის ლათანთა იანიასადვი, რომელმანც შეიწყნარა ფრიად, და დიდად სარგებლობდა ზრახვითა სატურნისათა, და მეცადინეობდა მეფე ესე დაწესებასა თვითა ქრისტევერდომთასა ბედნიერებისთვის მათისა, და ესრეთ მომზრახობენ: მეფობასა შინა მისსა იყო, ოქროვანი საუკუნე, ესე იგი, საუკუნე ნეტარა და უბიწო.

დავითმან. რაჲ ჯერ არს შენიშუნად იანიასათსა?

იოანე. იგიც ირიტებოდა მსოფლიო ღმერთად, ხოლო სახელისა გამო მისისა წოდებულ არს პირველი უკუტს თვე წლისა იანვრად.

დავითმან. მეფესა მას ვითარითა სახითა წარმოადგენდნენ.

იოანე. მას წარმოადგენდნენ ორისა უკუტს სახის მექონედ; ორ სახედ ხატვიდნენ მიზეზითა მით, რომელ სატურნამ ინება თეთრზედ სიქას დაკერა, ანუ ბეჭედი. ერთის კაცის თავი ორ სახედ, ამისთვის, რომელ, ვკსთა გამზრახთადმი აქენდა მართებლობა სახელმწიფოვასა, მეორედ მარტვენ რომელ ვითომც, რაცხდენ სატურნას მზედ და მისთვის ორთავად იხატებოდა, რომელ მოასწავებდა, აღმოსვლასა და დასვლასა მზისასა.

დავითმან. იუპიტერ ვითარ იყო ძველადგან მერაუცხილ ღმერთებთა შორის?

იოანე. უწოდდნენ მამად ღმერთთა და კაცთა ნათესავსა

გამგესა და მმართველსა სოფლისასა, და სხუათა ყოველთა ღმერთებთა ზედან უზენაესსა.

დავითმან. ვისი ძე იყო იგი?

იოანე. სატურნასი და რეისა.

დავითმან. რასა ნიშნავს ლათინურებრ სახელი ესე იუპიტერ? იოანე. სიტყვისა გამო — იუენს და პატერ, რომელიცა ნიშნავს, მამა-შემწესა, ხოლო ბერძენნი უწოდებენ მას ზეესად.

დავითმან. ვითარ იყო იგი აღზრდილი?

იოანე. იგი იყო უფრორე დამყვირებელ საყვირისა, რომ ხშირადრე მის მგერისა გამო, არა სმენოდა მამასა მისსა ღალადებაჲ მისი, და ესრეთ აღიზარდა იგი თხისა ამაღლეთას-გან წოდებითა რძისათა.

დავითმან. სადა შობა იგი დედამან მისმან?

იოანე. რომელნომე უზნობენ შობისა მისსა, არკადისაჲ შინა, სხვანი კრიტიას.

დავითმან. ოდეს აღიზარდა იგი, რაჲ ჰყო მან საქმენი?

იოანე. მან განაძო ტახტიდამ მამაჲ თვისი სატურნა, რომელი ეძიებდა წარწყმენდასა მისსა, და მერე სრულიად სოფელი განყო სამ კერძოდ, ურფროსსა ხედაცაჲ, ანუ ოლიმპია, ნეპტონსა ხედა ზღუაჲ, ხოლო პლუტონსა ხედა სოფელი ქუშხე ქუშყანისა, და სხუათა მისცა ქუშყანა საზოგადოდ.

დავითმან. ვითართა მიაწერენ მას კუთლად ჩინებულთ საქმეთა?

უკუტ სძლო ხიტანთა, ანუ ღღანტთა, ესე იგი, შვილთა ქუტყანისათა, და ეგრეთვე საშინელთა და სწივრეელთა. დრკონთა ანუ რჩახულისკუდის მკონებელთა და მერეთ დასაჯნა წარღენითა ნათესაენი მათანი. მეცვიენ ულნა უსჯულოებათა შინა, ხოლო გამოიხსნა ორნი უკუტ სულნი კოლ ქმარნი წარღენისგან, ესე იგი, დევკალონი და პირრი.

დავითმან. ვითარითა სახითა გამოხატულ ჰყოფენ მას?

იოანე. მჯდომარედ ტახტსა ზედა, რომელსაც უბყრიეს გარკცხენით სელით სკიპტრად, მარჯვენით ვლვაჲ, ანუ მცხი, და ფეხთა ქუტმე მისთა სამეფო არწივი სამეფოჲსა ნიშნებითა, ფრჩხილთა შორის მპყრობელი.

დავითმან. ვითარი სახით მეჰსწირვიდენ მას უკუტ მსხტსრპლს?

იოანე. ასთა უბრყვილო ხართა, და ესე მაგარი უკუტ მსხტსრპლი იწოდებოდა ღვკატომბად.

დავითმან. სადა იყუნენ ტაძარნი მისნი?

იოანე. უპირველესი ტაძარი მისი იყო დიდონისა ტყესა შინა, ეპირეასა შინა, გარნა უჩინებლესი ტაძარი მისი მაჩლობელ იყო ოლიმპიასა, გლადიასა ქარქისათა; ღმ ღმ ეგრეთვე სხუათა ადგილთა შინა.

დავითმა. ვინ იყო მეუღლე მისი?

იოანე. იუნონს, რომელიც იყო ღაჲ მისივე.

დავითმან. რასა მოუთხოვრებენ მისთვის?

იოანე. ძესლაღვან რაცხდენ მას სხუათა ღმერთებთა ზედა, დედოფლად, და ღმერთად სამეფოთა და სიმდიდრეთე ზედა, ასულად სატურნაჲსა და რეისად, მეუღლედ და დად იუპიტერისად; გარნა იქენეულობისა გამო თვისისა იგი ხშირადრე განრისხებულ ჰყოფდა მალალსა შეუღლესა თვისსა.

დავითმან. სადა იშუა იგი?

იოანე. რომელნიმე მოშრახეობენ ვითამც იშუა იგი არა ღოსსა შინა. სხვანი უბნობენ სამოსეს შინა, რომელისაცა დიდ შეენიერნი ტაძარნი მისნი იყენენ მათ ადგილთაშინ შენებულნი. დავითმან. ვითარ გამოხატვიდენ მას?

იოანე. გამოხატვიდენ მას ღია დიდებულ სახედ და ეგრეთე დიადიამით, ანუ გვირგვინით თავსა ზედან დახურეთ, და ხელითაც მპყრობელად სკიპტრისა, ოდესმე ეტლსა ზედან მჯდომელადცა, რომელსა შინა ება ფარშავანგი.

დავითმან. ვითარითა სახითა შეიცულებოდა იუპიტერ და ერთსნებოდა საყუარელთა თვისთა?

იოანე. იგი შეიცულებოდა მჰსგავსად აკაურისა (ყუისა) ზედიასთვის ცოლისა ტინდარიისა; ხარად ეეროპიასთვის, და კადმოს დისა აღენორიასთვის, ასულისა მეფისა ფინიკიისათა; ოქროს წვიმად დანაჲსათვის ასულისა აკრიზიასა, მეფისა არღოიელთასა, ხალო მწყემსად მნემოზინისათვ, ანუ სახსოვრად ყოლინათათვის, ანუ ღმერთებთა.

დავითმან. რაოდენნი შეილნი ესხნენ მას?

იოანე. იუნონასაგან ესხნეს ორნი უკუც მარს და



ეულენ და ასული ღება, რომლისაც თანამდებობა იყო -
 მემლინეობა, ანუ მეწოდება ოლიმპიასა შინა: გარნა იუპიტერ
 იყო სხუათა შრავალთ- უკუტ მელთა მეყოლ, სხუათა ცო-
 ლებთანა თვსთა, ესე იგი, ლედისაგან ესხნეს ქასტორა, და
 პოლლუქსა ყოველად მშენიჭრნი მამაცნი; ევროპიასგან მი-
 ნოსა და რადამანტა, რომელნიც დიდისა სიმართლისამებრ
 თვსთა მერაცხილ იყენენ ხიტლოებად მოსამართლედ სო-
 ფელსა შინა ქუტსშე ქუტსუანისა; დანაჲსგან ესტა, პერსეია
 უჩინებულესი გმირი, რომელმანც განგმირა მელუზუჲ, ხო-
 ლო უკანასკნელ მნემოსინისაგან ესხნეს ცხრანი უკუტ მუ-
 ზნი, ანუ ასულნი.

დავითმან. რაჲ ჯერ არს მენიშუნად შაჲ ყოველთათვს,
 რომელნიც ირიცხებოდინ იუპიტერის შვილებად?

იოანე. არა ჯერ არს გულის ხმობად ჰანრისა მებრ ასოგბ-
 თასა; არამედ ესე, რომელ ძენი იუპიტერისანი თქმითა ამით
 ძუტლთა მცხოვრებთა შორის მნიშვნელობდენ დიდ გმირე-
 ბად, და ამალღებულად სხუათა ყოველთა ჯაცთა ზედან; და
 ეს სახედვე ქალნიცა მისნი ირიცხებოდენსხუათა დედათა ზე-
 და დედებად, გარნა ეჲსა გარდახდომილებისა თვისისა და-
 სდებდნენ ბრალსა იუპიტერს აწედა, და ამით დაჰფარვიდენ
 მეკეთომილებათა თვსთა.

დავითმან. ვითარ რაცხდენ ნებტუნს?

იოანე. ზღვის ღმერთად და მბრძანებულად წყალთა,

აღმფურთენელად ზღვისა, და დამაწყნარებელად ღელვათა.

დაეითმან. ეისი ძე იყო იგი?

იოანე. სატურნისა და რეისა, მამა დიდისა იუბიტერისა; მეუღლე მისი იწოდებოდა ამფიტრიტად, ასულად ოკიანისად.

დაეითმან. ეითარისა სახითა გამოხატვიდენ ამას?

იოანე. სადაფისა ეტლსა ზედან მჯდომარედ რომელსა შინა ებნენ ზღვის ცხენები, რომელთაც ნახევარი ტანი უკანკერძოდ აქვდა თევზისა; მარჯუშნითა ხელითა ეპყრა ფიწალი სამ თითიანი სუბტრისა წილ, და სამეფო სუბტრაცა. უბრძანებდის იგი ზღუათა ღელვასა; სახესა ზედან მისა გამოწერჩილ იყო სიმკუთხე დიდებულებისა, ანუ შეკუმუხუნა დიდებულებისა; წინაშე ეტლასა მისისა ჰსატურავს ტრიტონი ანუ ზღვის ადამიანი, ტანით თევზივით ქიცვიანი, რომელიც აყვირებს საყვირსა მოხრილსა ზროხისა რქისასა, მსგავსად საყვირისა. ესე ტრიტონი იყო ძე ნებტუნისავე და ამფიტრიტიასი, მეორე კერძო ამისი იყო ადამიანისა და ქუტუმორე თევზისა დაფარებული ქიცვიით.

დაეითმან. რაჲ აქუნდა ნებტუნს თვსად დამორჩილებულ და ანუ რაჲ ერჩიდენ მას?

იოანე, ყოველნი უკუტ მდინარენი და წყარონი, თვთვეულისა უკუტ მდინარესა ესხნენ თვსნი საკუთარნი ღმერთნი; და ესე ღმერთი მდინარეთა გამოიხატებოდა მოხუცისა სახედ, მდგომარედ შორის ღვრწმოვანთა და მიმყრდნობელად ხელთა სათაეისადმი მდინარეთა, რომლისაგან გამოსდიან წყალნი.

დავითმან. ვითარნი ღმერთნი იყენენ და ანუ ჰგებდენ წყალთა მათ შინა?

იოანე. ნაიადნი (ზღვის ურლანდნი) ნერეიდნი (ზღვის ნინფნი, ანუ ზღვის ფერიანი) სირინოზნი, (ქალ-თევზა.)

დავითმან. ვითარისა სახითა წარმოიდგინებოდნენ ესე წყალთა ღმერთნი? იოანე. ახალ გაზღად მშტსნიერთა ქალთა სახედ, თავიღამ სარტყლამდისინ, წელს ქუტყით თევზთ სახედ, ესენი იყენენ მხლებელნი ანუ მოსამსახურენი დედოფლისა თვისისა და ესენი აღწერდენ ტომართა ანუ დაეართა სხუათა მისთა მსახურთა. ხოლო ოდეს სეირნობდა იგი ზემო პირსა ზედ ზღვისა ეტლსა შინა მჯდომარე, მაშინ შებმულ იყუნენ ეტლსა მას შინა ორნი უკუს დელფინნი, ანუ ზღვის ღმერთნი, რომელთაც დაჰყუანდათ იგი.

დავითმან. რაჲ სათანადო არს შენიჲენად სირინოზთათჳს? იოანე. იგინი იყენენ მშენიერნი ქალნი, რომელნიც სასიამოვნოსა ხმისა სიმღერითა თჳსითა მოაცთუნებდენ ზღუაში მტურეალთა ანუ მოსიარულეთა, და მით მიზდებდენ თვისად უფსრკულსა შინა ზღვისასა ანუ წყალთასა.

დავითმან. ეინ იყო ღმერთი ქუტსკენელისა სოფლისა? იოანე. პლუტონ ძე სატურნასა და რეისა, ძმა იუპიტერისა, რომლისაგანცა მიიღო თვისად სამფლობელოდ სამეფო

ქუტსკენელისა, ხოლო ღმერთი ესე იყო ესეოდენ შავი სახითა და სხეულითა, რომელ შესახედავისა და სამინელებ-საგამო მისისა, არცა ერთი სხუანი ბოლანი ანუ ღმერთნი არა მოწადე იყენენ, რათამცა აქენდათ მონაწილეობაჲ მასთანა ტახტისა და თანა შეინახეობისა. პლუტონ იძულებულ იქმნა ტრფიალებისა გამო პროზერპანიასა მოტაცებად, რომელიც ასული იყო ცერერინიასი, და კარგისა დროჲსა დამცუსლმან სრულ ჰყო საწადელი თვისი, და მოიტაცა ოდესცა იგი როკვიდა, ნინფებთა (ანუ შინამურთა) თვისანა და ჰკრებდა ყუაიელთა სხუა და სხუა სახეთა. პლუტონ ჩუშულებისამებრ წარმოიდგინების ეტლსა ზედან მჯდომარე, რომელსა შინა აბიან ოთხნი უნენი; მარცხენისა ხელითა უპყრის ორთითი მსგავსი სკიპტრიისა, და თაჲსა ზედან აღგას გვირგვინი რეალისა.

დავითმან. რაჲ არს სამეფო ქუტსკენელისა?

იოანე. ესე გუარჩი უკუტს ადგილი, სადაც სულნი მომკედართ კაცთანი მიშლებლობენ, ანუ ჯილდოსა კეთილსა კეთილისა საქმისათვის, ანუ ჯილდოსა დასჯისასა ბოროტისა საქმისათვის. ხოლო კეთილის მოქმელთათვის იყო ველი ელისეისა საეანედ; და ბოროტთათვის საშყროფლად ტარტაროზი და მუნ იტანჯებოდნენ.

დავითმან. ვინ უკუტს ხმილავდა ქუტსკენელისა სოფელსა?

იოანე. ცერპერი, დიდი სამ თავიანი ძაღლი, რომელიც შეილი იყო ტიფონლიდანტისა და იქედნესი. ესე დაბ-

მული იყო ბჭისა ტარტაროზისასა ჯაჭეთა. ესე საშინელი უკუტ ძლიი მიელაქუცებოდა შემავალთა ყოველთა, ვინცენ ჰაწოდნოლიან მესკლად და სანახაედ ქუტსუნელის ქუყანისა და ესცა უტეეებუ მთ. ოდეს ენებთ უკუნქცეეად, მშინ არაეის უტეეებდა გარე მათგანსა.

დავითმან. ვითარისა სახელით იწოდებიან ოთხნი უკუტ-მდინარენი ჯოჯოხეთისანი?

იოანე. ოთხნი ესე მდინარენი იწოდებიან სახელთა ამით:

1) სტიეს დ 2) ახტონ დ, რომელ ესე მდინარენი ფრიად მწურე არიან გემოთი; 3) კოკატად და 4) ზეტად, ანუ მდინარედ დავიწყებოსად, რომლითაც შემსმელნი მიეცემიან მესხიერებისა დაკარგულეებსა ანუ აღმოცილებასა ყოველსა ნამყოფსა საქმეთასა.

დავითმან. რაჲ სათანადო ირს მენიშენად მდინარისა სტიკოსათჳს?

იოანე. მდინარესა ამას ფუტკვიდნენ ღმერთი და ოდეს დაიფიციან, მაშინ ფიცი ესე იყო დაურღუტეველ.

დავითმან. ვითარ იწოდებიან მსაჯულნი ქუტსუნელის ქუტსუნისანი?

იოანე. მინოსად, ნიავადად და რადამენტად.

დავითმან. ვისდამი რწმუნებულ იყო ტანჯუოდ ბოროტთა ქაცთა?

იოანე. ჭურიათა, ანუ ევმენიდამთა. იგანი იყვნენ სამნი, ესე იგი, ტოზიჭონა, მეღერა და ალექტო. ამათ რაცხვიდნენ ასულეზად ღამისად და სიყურძლისად; გამოხატვიდნენ ამათ

აღგზნებულთა ალებითა, და თაითა ზედან ხტსულითა გტს-
ლებითა ნაცვლად თმთა მკონებელად.

დავითმნ. ეინა იყო აპოლონი?

იოანე. ღმერთი მოღვიწიებისა და საზოგადოდ ყოელისა
განათლებისა და მოძაირობისა, და მიფლობელი ათთა მუზთა
ანუ საკრავთა.

დავითმან. ვითარ გამოხატულ ჰყოფენ მას?

იოანე. ესრეთ, რომელ ხელთა შინა უპყრეს მას ჩანგი,
და დაღერის მას საღმრთოთა გალობთა განთიადისა ცრს-
რისა მარავანდედოვანსა; მსგავსა თაესა ზედა ადგას გვირგეი-
ნი დაფნისა; ფერხთა კტსმე მისთა სხტა და სხტა გტარნი
უკტს იარაღნი მწყობარე, რომელნიც თაეს ეყეიან სხტა
და სხტა გტართა სწეღათა. ოდესმე წარმოადგენენ მას მჯ-
დომარედ ეტლსა ზედა მარავანდით მოსილსა, რომე-
ლსა შინა აბიან ოთხნი უნენი ცეცხლ მფშტყეელნი, განმ-
ლეგოდ ზეციურთა ზოდიაკთა, და მიმფენელად კთილ მა-
წარმოებელისა ნათლისა თვისისა ყოველსა სოფელსა ზე-
და; და აგრეთვე გამოხატულ ჰყოფენ მას შხის სახედ.

დავითმან. ვისი შვილი იყო აპოლონი?

იოანე. იუპიტერისა და გატონასი.

დავითმან. სადა იშვა იგი?

იოანე. კუნძულსა შინა დელოსსა ედების ზღვსა შინა,
ერთბამად დისა თვისისა დიანას.

დავითმან. ვითარნი მთანი იყვნენ საკუთრად შეწირულნი
აპოლონისადმი?

იოანე. პარნასისა და ლელიკონისა მთანი. ხშირადკე ჯდე-
ბოდის იგი წვერსა ზედან პარნასისა გუნდთა შორის მუშთა-
სა, მროკვეთა დამოთამამეთასა; რომლისგამო მთად პარნ-
ასისა შერაცხილ იქმნა მთად მოლექსეი ა.

დავითმან. ვითარნი წყარონი გამომდინარეობდენ მთათა
ამათგან.

იოანე. ამა თათა ქუტსმე გამომდინარეობდენ წყარონი ორ-
ნი. პერნასის ქუტსმე წოდებულ წყარო პერმესკისად; ლელი-
კონის ქუტსმე წყარო იწოდებოდა იპოკრენიად; წყაროთა
ამათ მოლექსენი მიაწერდენ დიდსა ქებასა და სხუა და სხუა-
ხაიათთა. ორნივე ესე მთანი არიან ქუტსყანსა შინა ფესა-
ლისასა.

დავითმან. სადა იყენენ ჩინებულ ტაძარნი აპოლონისნი?

იოანე. უჩინებულესი უკუტს ტაძარი მისი იყო მახლობ-
ელმ, დელფისა, და ამა ტაძრიდამ მისცემდა იგი ქურუთა
და ორაკულთა წინასწარმეტყველებისა სულსა ყოველსა სო-
ფელსა შინა; შორის ამისსა იყო ნაპრალი, რომლისაგანც
აღმოდროდა ბნელი უკუტს კუამლი, და ნაპრაღსა ამასზედ
იდგა სამ ფეხიანი საფარქელი, რომელსა ზედა მჯდომარე
იყო მღვდელი აპოლონისა პიჭი, რომლისა პირითა მეტ-
ყუტსლებდა აპოლონ.

დავითმან. რაოდენნი იყვნენ მუზნი?

იოანე. ცხრანი, ესე იგი: 1) კალიოზა. 2) კლიო. 3) ერატო. 4) თალლია. 5) მელპომენ. 6) ტერპსიხორა 7) ეეტერპა. 8) პოლიდიმონია. 9) ურანია: ყოვენი ესე ღმერთნი მთავრობიან სწავლა და ხელოვნებათაზედა; ესენი იყვნენ ასულნი იუპიტერისა და მონემოსინისა.

დავითმან. თუთეულნი ამ მუზთაგანი საკუთრად თვისად რაჲსა უფრო განერთოდენ?

იოანე. კალიოზა იყო მუზა გმირობის მოთხრობისა.

კლიო, მუზა ისტორიისა.

ერატო, მუზა მეჩანგეობის სიმღერისა.

ტალია, მუზა კომედიისა.

მელპომენა, მუზა ტრადედიისა.

ტერპსიხორა, მუზა ტანციობისა, ანუ როკვისა.

ეეტერპა, მუზა საკრავისა.

პოლიდიმონია, მუზა იამბიკოსა.

ურანია, მუზა ასტრონომიისა.

დავითმან. უწყით თქუტს უკუტს ფრანციუსულნი შაირნი, უფლის პეროლტისანი, მუზთა პატივისთვის შეთხზულნი?

იოანე. უწყი მე, რომელ დიდებული კალიოზა, ჩინებულითა მოღვესეობითა თვისითა განთქმულ ჰყოფს საყვირველთა უკუტს ლუწლთა ზამაცთა გმირებთასა და ამას ზედა არს დამოკიდებულ გმირთა პოეზია.

შართალი კლიო, ჩინებული ისტორიკოსი, განასაუკუ-

ნოებს დადებასა ჩინებულთა მოკვდავთა.

ყოელად შუშნერი უკუტს ერატა, მარტიეთა გალობათა შინა, გალობს სიყვარულსა ჰასაკობისასა და ჰყუარობს სიმღერათა ამიკობათასა: მხიარული და ცელქი ტალია, მხიარულ ჰყრფ, მაყურებელთა თიატრსა შინა განმრთუტლითა თამამობითა თვისითა; ჩინებული მეღბომენი, წარმოაყენებს წინაშე ერთა, ხელმწიფეთა გამომცდელთა შემძლებელობისა სიყუდილისათა და ტრალედიისა, ანუ მგლოვიარობისა ლტოლელი; ტერპსიზოტა, ფრიად მოყუარული როკეისა, მისცემს განკარგულებასა როკეისასა, ზომიყრებასა. და ტანციობისასა.

განმორებული ეეტერპა, აჩრდილთა ქუტსშე ბუჩქოვანთასა მჯდომარე, აღაესებს ხეივანთა საამურითა დაკერიითა სალამურისა ბგერისათა, და აგრეთვე მასწვდა არს დამოკიდებულ შუზიკა.

სულმთქმელი პოლიდიმონია, აღგზნებული საღმრთოთა აღტყინებითა, ბგერისავეთანა დიდ ხმარეანისა ჩანგისათა, ჰგალობს ღირსისა ხსოვნისა საქმეთა წარმოებულთა და საქებულთა ლექსთა; ხოლო ყოელად ბრძენი ურანია, აღმაღლების ცათა შინა კადნიერითა მიმოფრინეთა აზრთა თვისთათა.

დავითმან. დიანა ვითარ ირიცხებოდა ძესლად?

იოანე. ირიცხებოდა ღმერთად ნადირობისა და მთო-
ვარისად.

დავითმან. ვისი ასული იყო იგი?

იოანე. იუპიტერისა და ლატონისა, დაჲ იყო აპო-
ლონისა.

დავითმან. ვითარ გამოხატვიდენ მას?

იოანე. ოდესმე ორის ირმით შებმულსა ზედა მჯდომარედ, რომელსა ეფარა გრძელი უკუს პირბადე შემკული სრულიად ვარსკვლავებითა და ნახევარ მოოარე ნაცვლად გვირგვინისა თაესა ზედა მდგომარე, და ამისთვის იწოდებოდა ღმერთად მთოვარისა და ღამისად; ხოლო ოდესმე გამოხატვიდენ მოკლის ტანსაცმელითა მოხილსა, და ხელთა შინა მპყრობელად მშვილდისრისა, და ქარქაშნილოფით მორტყმულად წელთა ზედა და თანად მყოფელად ასისა ძალისა ტყეთა შინა მდევნელად ნადირთა, და ესრეთ იწოდებოდა ღმერთად ნადირობისა

დავითმან. ძველადგან ვითარ რაცხდენ მინერვას?

იოანე. ბოლინად სიბრძნისა და ბრძოლისად.

დავითმან. ვისი ასული იყო იგი?

იოანე. იუპიტერისა. მოლექსენი მიაწყრენ მას,

რომელ იგი იუბიტერის თავიდგან იყოს წარმოებული;
და ესე ნიშნავს, რომელ ყოველი უკუს სიბრძნე წარმომღ-
ნარეობს ზეგარდამო ღეთისამიერ ღმერთებთასა, ყოვლად
ბრძენისა და ყოვლად სრულისაგან.

დავითმან. ვითარითა სახითა წარმოიდგინების მინერავ?

იოანე. სრულითა აღჭურვილებითა ესე გუარ, ვითარცა
ღმერთი ბრძოლისა, რომელსა ხურავს თავსა ზედან ჩაფხუ-
ტი (ჩაჩქანბი), უპყრის მარცხენითა ხელითა ფარი, რომელ-
ზედა გამოხატულ არს მეღუზინისა თავი გველებითურთ
მოსისინეთი; მერდსა ზედან აკრავს ბექთარი და მას ზედა-
ცა არს მეღუზინისავე თავი გამოხატული, ხოლო ოდესმე
ესე მეღუზის გამოხატულის თავით ფარი, ბექთითურთ,
იწოდებოდა ჰელიდიის საჭურველად, რომლისა გამო სრუ-
ლიად მხედრობანი მოვიდოდნან შიშსა და ძრწოლასა შინა
შეხედვითა ამა საჭურველთათა.

დავითმან. მარსი რად იწოდებოდა საშინელ ღმერთად
ბრძოლისა და ანუ ვისი ძე იყო?

იოანე. მარსი იყო ძე იუბიტერისა და იუნონასი, ამას
წარმოადგენდენ სრულისა საჭურველითა ჭურვილსა, ესე იგი:
შუბითა, ფართა, ჩაჩქანთა, ბექთარითა საზაროდ აღჭურვი-
ლს. ხშირადრე სდგა იგი ფეხზედა, ეტლსა თვისსა ზედან

და მისწრაფიდა ომასადმა, რომელსა ებნეს ორნი უნენ, ანუ ცხენნი მლნი, წინაშე მისა მიუტრბოდა გაშმაგებული ბელლონა, კაცუ თმა გაშლილი, აღქურვილი იარაღითა და პირსისხლიანი, მარჯუტნესა ხელსაშინა ცყრა შუბი და მარცხენესა ფრი, რომელიცა ირ ცხებოდა ბრძოლისა და მველელობისა ღმერთად.

დავითმან. ეინ იყო ეენერა?

იოანე. ყო ლად მტსწიერი ღმერთებთაგანი, ღმერთა სიყურულისა და შტსწიერებისა, მომთხრობელობენ რომელ იგი შობილ იყოს ზღვისა ქაფისაგან, ოდესცა იშვა იგი, მყისუტს მიიღეს მათათა და გრაციათა, რომელიცა დადებულისა სახითა მაიყუანეს იგი მათა ხედა ოლიმპისისა. ყოველნი უკუტს ღმერთნი აღტაცებულ იყენენ შტსწიერებითა მისითა და ყოველნი თვითთულნი მადგანნი მოსუტნე იყენენ, რათამცა ესეთ მათ იგი ცოლად, გარნა იუპიტერმან მისცა იგი ცოლად ყოველად დუხტარსა სხუთათა ღმერთებთაზედან ვულკანსა, ჯილდოდ მისა, რომელ იგი ვულკან უკეთებდა მარადის იუპიტერს ჭეხისა ისრებსა მტერთა ზედა მოსახმარებლად.

დავითმან. ეინ უკუტს შეადგენდენ მსახურებასა მისსა?

იოანე. კუბილონ, გრაციები და მთრები.

დავითმან. როდენნი იყენენ გრაციები?

იოანე. გრაციებნი იყენენ სამნი, ესე იგი. ალლია, ტალია და ევტროსინა, იგინი გამოიხატებიან მიშელად საამურისა სახითა ურთიერთისა მპყრობელად ხელთა, ოდესმე იჩვენებიან მროკველად გარემოს შესაწირაეისა; ხოლო

გააკონი ურუმ ირიცხებოდიან ნუგეშინისცემის ღმერთებდად.

დავითმან. ვითარ რაქნდენ ძველად სახელით ვულკანსა?

იოანე. ვულკანს რაქნდენ ღმერთად ცეცხლისა და შქეფელთა. იგი იყო ძე იუპიტერისა და იუნონასი. გარნა უშეერებისაგამო სიხისა შისისა, ოდეს იმჟა იგი, მშინ მამამან მისმან ვითარცა იხილა ეს სახედი ძე თვისი, გადმოგდო იგი ზეცით, რომელიცა გადმოგდებისგამო მისისა მოსტყდა მას ვულკანს ფერხი, და ამისგამო დაშთა მკელობლად.

დავითმან. ვითარ გამოხატულ ჰყოფენ მას?

იოანე. მას წარმოადგენენ სამჭედლოსა შინა გამოხატველნი ესრეთ, რომელ ერთისა ხელითა უპყრიეს კაერი და მეორითა მარწუხი; წინარე უდგას ზოდი და მას ზედა გამოკვერავს რკინათა, და ოდესმე დამწვარუნებელი ანუ დამაკაუნებელი. ზინდსა მასზედა ნაშინ იყო განსაღვიძებლად ცოცლობთა მოსამსახურეთა თვისთა.

დავითმან. ვინ იყო ეოლა? (ანუ ჰეოლა)

იოანე. იგი იყო ღმერთი ქრთა, რომელიცა დახშედა.
ქრთა მღვიმეთა და კლდისა ქუბებთა შინა, და მუნიდგან
ოდეს ენება გამოუშვებდის.

დავითმან. რაოდენნი არიან უპირველესნი ქარნი?

იოანე. ოთხნი, ესე იგი: ავეილონ, ბორჯი, ზეფირი და
ჰეერი.

დავითმან. ვითარ ქარ დ ჰსდებდენ ავეილონს?

იოანე. მძვინვარედ და ფრიად სივად; მოღვექსენი მიაწე-
რდენ, რომელ იგი იყო ძე ჰეოლასი და აერორისა, რომე-
ლნიცა მიაწერდენ მას გუბლის კუდიანობასა და თმა თე-
თრობასა.

დავითმან. ვითარი იყო ბორჯი?

იოანე. ესე იყო ჩრდილოეთისა ქარი, ხოლო ყოველთა
საქმეთა თვისთა ზედა ოდესცა იღობარდა ესე, რათამცა მოე-
ტაცნა ორჭვია, შეუდგა ამას, ასული ერიკტევისა.

დავითმან. ვინ იყო ზეფირი?

იოანე. დასავლეთის ქარი. ზეფირად ჰსდებენ წყნარსა
დღესა, და გრილსა ნიაგსა ზაფხულისასა, მეუღლე მისი არს
ფლორა, ღმერთი ყუავილებთა.

დავითმან. ვინ იყო ჰეერი?

იოანე. ესე იყო აღმოსავლეთის ქარი. —

ღავეთმან. ვითარსა ღმერთად რაცხდენ ცერერასა
იოანე. ღმერთად პურისა და შიწის მუშაკობისად. მას გა-
მოხატულ ჰყოფდენ ერთს ხელითა მყრობელად ძინსა და
მეორითა მანგლისა (ნამგალისა); თავსა ზედა ყანისა თავ-
ვით მოკრულად. იგი იყო ასული სატურნასი და რეისა,
და იუპიტერიისა, რომლისაგანცა ჰკურნდა ასული პროზერ-
პინისა, მიტაცებული პლუტონის მიერ.

ღავეთმან. რასა ხელოვნებასა მიაწერენ მას?

იოანე. მან ასწავა კაცთა ხენა და თესვა, და მიწათა
მუშაობა, და მოიყუანა მოქალაქობათა შინა კაცნი ლიტონ-
ნი და განუწათლებელნი. —

(ზოგი შემდგომ ნომერში იქნება)

უკან • სკნელი მეფე საქართველო სი. გი-
ორგი.

(განგრძელება.)

მამინ, როცა აღა-მაჰმედ ხანმა ტფილისი აიღო, ქალაქ-
ში ოცდა ხუთმეტამდისინ ზარბაზანი ჰქონდათ ქართველებსა
ციხეში და მტერს მეთოფხანებიც კოტანი ჰყვანდნენ და
ორი სულა უბრალო ზარბაზანის მეტი არა ჰქონდათ, გარ-
და იმისა რაც მამინ ქართველებს ძლი და სიმამრე ჰქონ-
დათ შესძლისი იყო, რომ ტფილისი ისე მალე არ და-
ნებებინათ მტრისათვის, მაგრამ ირაკლის ქვეშევრდომთ
არც თავიანთი მფე ებრალებოდათ და არც თავიანთიმა-
მული ენებოდათ; არც იმაზედ ზრუნებდნენ რომ ქალაქი
გაემგრებინათ და არც იმას ფეკობდნენ, რომ მტერს და-
ხედროდენ, თუმცა ოთხის თვის წინ-თვე იცოდნენ, რომ
აღა-მაჰმედ-ხანი საომრად მოსვლას აპირებდა; იმათ ის არ
უნდოდათ. როგორც ირაკლის მიუწერია გუდლოვიჩისათვის,
რომ რუსის ჯარი მოსულიყო და იმათის ძალით მტერი
დამორჩილებულიყო. მეფემ ათას-ხუთასი კაცი ძლიეს შე-
ჰკრიბა და მტერს იმითი შეება. ასე სწერს გრაფი გუდლო-
ვიჩი თავის რაპორტში 28 სექტემბერს 1795 წელსა.

რადგან ქართველებს სრული იმედი ჰქონდათ, რომ რუსის ჯარი მოვიდოდა და მოეშველებოდათ და ის არ მოვიდა, მაშინ ქალაქის ხალხს ძალიან შეეშინდათ ალამაჰმედ-ხანის მოსვლისა, დედოფალიც დარია ანანურში გაიქცა და ხალხიც იმას მიჰყვა და სულ ერთიან იმოღვნი ხალხი ზოგნი მთებში და ზოგნი შორს სოფლებში დაიმაღლნენ, ასე შორს წავიდნენ, რომ თითქმის მოზღოკამდისინ მივიდნენ, ზოგნი ერთნი ქალაქის გამაგრებას აღარა ფეკრობდნენ, იმათი საფიქრებელი ის იყო, რომ ომს შორს მოშორებოდნენ. რაკი იმერეთის ჯარი გაიქცა, იმათი მეფე სოლომანც მშინვე იმათ მიჰყვა. საქართველოს მეფის შეილებიც აქეთ-იქით წაიღწამოვიდნენ, ვისაც საიო უნდოდა. ირაკლის უფროსი შვილი და შემკვიდრე ბატონის შვილი გიორგიც კახეთში იყო, თუმცა იმან ჯარიც შეჰკრიბა, მაგრამ ეერ მოეშველა თავის მამას და ისევე კახეთში დარჩა, ამ მიზეზით, რომ გიორგი იყო მშინ სიღნახში და მოურავის სახლში იდგა; როგორც რომ მეფეს ბრძანება მოუვიდა ჯარის შეკრიბისათვის, იმან საჩქაროზედ ჯარი შეჰკრიბა და გამოუგზავნა კიდევ; მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი უსინიღისობა, უთაურობა და სახელმწიფოს ორგულობა, იმათ ის არ იბრუნეს, რომ წამოსულიყვნენ ტფლისში და მოშველებოდნენ თავიანთ მოძქეთ, ისინი რომ გამოვიდნენ სიღნღილდამ, მაშინვე დაიშლნენ და სხვა გზით მიბრუნდნენ თავიანთ ბინებზედ, იმისთვის, რომ შვა და ლეწვა არ მოსცდენოდათ და სთველც დროზედ ჰქონოდათ. დან. ბ ჩენმა ბატონის შეკლებმა ირაკლის თხოვნას რომ

ჯარები მოეგროვებინათ, სრულებით ყური არ ათხოვეს.

რაც ტფალისის გარემამო სოფლები იყო, იქაურა ხალხი ზულ აყრა და დასამლკით გამჭაერდენ, გზებზედ საშინელი თულობა და აეწაკობა გაიმართა, ის აყრილი ხალხი ერთმანეთს ხოცდნენ და სცარციდნენ და იმას ცდლობდნენ, რომ სხვის ქონებით გამდიდრებულყვნენ.

თოთხმეტს ენკენისთვის შუადღისას შეიტყეს სიღნაში მტრისაგან ტფალისის აღება, მაშინვე ხალხმა მზადება დაიწყო, რომ აყრილიყვნენ და საითჟი გაქველყვნენ დასამლაგათ; გიორგისაც მუტი ილაჯა აღარ ჰქონდა, ისიც საითმეუნდა წასულიყო, რომ გეემზადა, იხტნები შეაკრეფინა და ცხენებს აჭიდეს, ეს შეიტყეს სიღნაღელებმა, შეიყარა მრავალი ხალხი იმ სახლთან, სადაც გიორგი იღვა, შექნეს ყაყანი და გიორგის დაუწეს ყვეღრება აქმდისინ ჩენ გინახამდით, გაქვეღათ, გასმეღათ და ეხლა კი აქედამ მადიხარ; არას გზით არ გაგიშვებთ, შენც ჩენთან უნდა მოკედდე, როცა მტერმა ჩენ დაგვხოცოს, შენც ჩენთან მოგპრან თავიო.*

გიორგიმ იმათ ხეწნა დაუწყო იმაზედ, რომ გაემოთ, მაგრამ სიღნაღელებმა არამც თუ პატივი სცეს იმას თხოვნასა და გაუმეეს, ყარაულიც კი დააყენეს, რომ არსად წასულიყო. გიორგის რომ გაუჭირდა, ყარაულები დაქრთამა და ერთის ხელი ტანისამოსით, რომელიც ზედ ეცვა, გაიპარა და თელაფში მავიდა. რაც რამ დარჩა გიორგის სიღნაში, იქაურებმა აიკლეს და აღარც დაუბრუნეს.

ყიზილბაშებმა ტფილისი რომ აიკლეს, მტრე ერთი ნაწი-

ლი იმათის ჯარისა მიერდა მცხეთაში და მცხეთა დასწევს, მცხეთის სობოროს დაწეაც უნდოდათ, მაგრამ ჯარის უუროსმა ნახიენის ხანმა დაუშალა, ასე უთხრა:

— წმინდას ტაძარს და მეფეებას საფლავს ნუ შეეხებიო.

იქ მცხეთაში შაველი ხალხი დახოცეს, ცკლესის სამეფული დაიტაცეს და სამლო პირნი კი გაიქცნენ. ცკლესის საუნჯე სამლო პირთ თუმცა დამალეს საყდრის სამალაფში, მაგრამ ისე ეჩქარებოდათ, რომ როცა გაიქცნენ სამალაფდებე მიდგმული დარჩათ და სპარსევი როცა მივიდნენ და მიდგმული კიბე ნახეს, მამინეე მიხედნენ, რომ იქ სამალაფი იყო და შიგ საუნჯე დამალული იქნებოდა, გაშინჯეს და მართლა ისე კი ნახეს, როგორც ფეკრობდნენ.

ყენის ჯარმა ტფალისი თითქმის საძარცველიან დაანგრია. აელაბარი და ალაებრის ხილი დასწევს და მთელს ქალაქში მელოქას სახლს გარდა დაუშელო, დაუნგრეველი თითქმის აღარა დარჩათრა. მთელი ექვსი დღე იკლებდნენ ქალაქსა.

როცა აღა-მაჰმედ-ხან ტფალისში შემოვიდა, იმასთან მოჰყვა განჯის ჯაფათ-ხანი და ყენს იმან უჩენა მეფის ირაკლის სასახლე. შაჰმ თათო-თათოთ დიარა სასახლის ოთახები და რაც კი რამ მოეწონა ძირფასი ნიეთი ან სამეფული თაფისათჳს წაიღო და სხვა დანარჩენი ჯარს აკლებინა. მაგრამ ჯერ ეკლესიები აიკლეს.

ყენმა, რომ შეატყო მეფეს ცალკე აბანო ჰქონდა, მარმარილოთა და თლოლას ქუთ აქნებულა, მიერდა ნახა და ძალიან მოეწონა შენობა და მშენიერება იმისი, რამდენ-

ჯერმე იბანა იმ აბანოში, ასე ეგონა, რომ თბილის წყლის ძალით მაშინვე ყოველის სნეულებისაგან განიკურნებოდა და რგება რომ ეწრა დაატყორა, გაჯაერდა და დააქცევინა. მე-რე თოფხანა გაშინჯა, იქ იარაღი იყო წააღებინა და შენობა კი დააქცევინა.

